

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბრძანება N**

ქ. ბათუმი

13 ივნისი, 2018 წ.

**2018 წლის ივლისში ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი  
კონკურსის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განსახორციელებელი  
ღონისძიებების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 15 ივნისის ბრძანების, „2018 წელს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/63 ბრძანების და „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. 2018 წლის 13 ივნისს გამოცხადებული ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის შესარჩევი კონკურსის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ბსუ-ს პერსონალმა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) არაუგვიანეს 2018 წლის 12 ივლისისა - ბსუ-სთან შრომითი გამოცდილების მქონე და კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ რექტორის მოადგილესთან (ნ. წიკლაშვილი) წარდგენილი იქნეს კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნული კონკურსანტის ნაშრომების/სტატიის/მოხსენების შესახებ ინფორმაცია თანდართული ფორმის (დანართი 1) შესაბამისად;

ბ) არაუგვიანეს 2018 წლის 12 ივლისისა - რექტორის მოადგილემ (ნ. წიკლაშვილი), სამეცნიერო კვლევების სამსახურის პერსონალის ჩართულობით, უზრუნველყოს კონკურსანტების მიერ დადგენილ ვადაში წარმოდგენილი, წინამდებარე ბრძანების „ა“ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის ხელმოწერით დადასტურება (რექტორის მოადგილის მიერ განისაზღვროს ფაკულტეტების პერსონალის მიღების საათები, გონივრულ ვადაში ეცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას და ასევე ინფორმაცია გამოქვეყნდეს სამუშაო ოთახთან);

გ) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ შესაბამისად, აკადემიური პერსონალის შეფასებაზე პასუხიმგებელ პირებს მიერ აკადემიური პერსონალის შეფასებების განხორციელების შემდეგ (რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-8/63 ბრძანებით არაუგვიანეს 2018 წლის 8 ივლისისა შესასრულებელი ვალდებულება), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებსა და ფაკულტეტის დეკანებს დაევალოთ, ერთობლივად ხელმოწერილი შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა არაუგვიანეს 2018 წლის 12 ივლისისა;

დ) არაუგვიანეს 2018 წლის 12 ივლისისა - შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის და დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული იქნეს ხელმოწერით და ყოველ გვერდზე დაესვას ფაკულტეტის ბეჭედი აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით ბსუ-სთან შრომითი გამოცდილების მქონე პირების მიერ წარმოდგენილი წერილობითი/ხელმოწერილი ინფორმაცია ბსუ-ში განხორციელებული სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობის (სასწავლო კურსები, სტუდენტთა საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო/სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა ან/და საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო სხვა), რომელიც განხორციელდა ბსუ-ს სამართლებრივი აქტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურებრივი განკარგულებების/დავალების საფუძველზე;

ე) არაუგვიანეს 2018 წლის 30 ივნისისა - ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნეს იმ ბსუ-ს სასწავლო პროცესში გამოყენებადი იმ სახელმძღვანელოების გადახედვა, რომელთა სახელმძღვანელოდ აღიარებიდან 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისში გადი 5 სასწავლო წელი (პროგრამის ხელმძღვანელის/ავტორის ინიციატივით გადაიხედება ფაკულტეტის შესაბამისი სარედაქციო კოლეგიის მიერ, შემდეგ წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და ბოლოს - დასამტკიცებლად უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს).

2. ბრძანება დაეზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს/უფროსებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და აკადემიურ პერსონალს.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

----- ფაკულტეტი

-----დარგობრივი დეპარტამენტი

-----კონკურსანტის სახელი, გვარი,

----- საკონკურსო თანამდებობა

1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი პუბლიკაციები/სტატიები - კონკურსანტის არაუმეტეს ხუთი ნაშრომი ბოლო 5 წლის განმავლობაში (2013 -2018 წლები), კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით):

№	ავტორები, ყველა თანაავტორის მითითებით (კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით.)	სტატიის სათაური	ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი. ISSN ან ISBNკოდი  პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი	გვერდები ს რაოდენობა	ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა	შენიშვნა
1							
2							
3							
4							
5							

ავტორი:

ვადასტურებ:  
 ნათელა წიკლაშვილი  
 რექტორის მოადგილე, პროფესორი

2. კონკურსანტის არაუმეტეს ხუთი სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, კონკურსანტის შეხედულებისამებრ):

№	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით (კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით.)	ნაშრომის დასახელება	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები და სხვა)	ჟურნალის/ კრებულის დასახელება /ნომერი, გვერდების რაოდენობა, ISSN ან ISBN კოდი  პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში).	გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი	ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა	შენიშვნა
1							
2							
3							
4							
5							

ავტორი:

ვადასტურებ:

ნათელა წიკლაშვილი,  
რექტორის მოადგილე,  
პროფესორი

3.. ბოლო 5 წლის განმავლობაში (2013-2018 წლები) შესრულებული აქტივობა - არაუმეტეს ხუთი მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე (კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი და ა.შ.)

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ორგანიზატორი	ჩატარების ადგილი, თარიღი	მოხსენების თემა	თანაავტორი	ელექტრონული მისამართი	ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა	შენიშვნა
1								
2								
3								
4								
5								

ავტორი:

ვადასტურებ:

ნათელა წიკლაშვილი  
რექტორის მოადგილე,  
პროფესორი